



ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენების მითითებები წვეთოვანი და კონტაქტური გზით (მ.შ. ახალი კორონავირუსი - 2019 n-CoV) გადაცემადი ინფექციების დროს.

დროებითი რეკომენდაციები 5.02.2020

სარჩევი

1. სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დანიშნულება და გამოყენების სფერო	2
2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) ჩამონათვალი	2
3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა	2
4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კონტროლი	3
5. თვალების და სახის დაცვა	3
6. ხელების დაცვა	3
7. რესპირაციული დაცვა	4
8. ტერფის დაცვა	4
9. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ჩაცმის და გახდის წესი	5

1. სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დანიშნულება და გამოყენების სფერო

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი:

სტანდარტული სამოქმედო პროცედურა (სსპ) აღწერს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების მიზანს, კონტროლს, მოხმარების და შენახვის წესებს. პროცედურა შედგენილია პოტენციური რისკების და საფრთხეების შეფასების საფუძველზე.

პროცედურა ეხება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების პერსონალს, რომელიც ასრულებს სამუშაოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) ჩამონათვალი

მოცემული იდს-ის ჩამონათვალი წარმოადგენს პირადი დაცვის იმ საშუალებებს, რომელიც გამოიყენება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში სამუშაოს ტიპის მიხედვით და საფრთხის შესაბამისად.

საჭირო აღჭურვილობა (შესასრულებელი პროცედურის მიხედვით):

- უსაფრთხოების სათვალეები და/ან სახის ფარი
- ერთჯერადი ხალათი, უკან შესაკრავით
- ნიღაბი ან რესპირატორი, საჭიროების მიხედვით, ტიპის დადგენა ხდება რისკის შეფასების მეშვეობით
- ერთჯერადი ხელთათმანები
- ბახილები
- ჩაჩი

3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა

იდს-ის შერჩევა უნდა მოხდეს რისკის შეფასების პროცესზე დაყრდნობით, რომელსაც ატარებს ბიოუსაფრთხოების სპეციალისტი. დაწესებულებაში იდს-ის შერჩევა უნდა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს რისკის შეფასების საფუძველზე.

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კონტროლი

- იდს-ის შერჩევა და საჭიროების განსაზღვრა თავდაპირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ბიუსაფრთხოების ოფიცრის და/ან ინფექციის კონტროლის სპეციალისტის მიერ
- დაბინძურებული იდს არ უნდა იქნას გატანილი პირობითად დაბინძურებული ზონიდან; აგრეთვე, არ უნდა მოხდეს მისი ტარება აღნიშნული ზონის გარეთ.
- იდს-ის ტარება არ შეიძლება ადმინისტრაციულ ზონაში
- მრავალჯერადი იდს-ის უტილიზაცია, წმენდა, რეცხვა და დეკონტამინაცია უნდა განხორციელდეს იდს-ის მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად. არანაირ ვითარებაში არ უნდა მოხდეს იდს-ის წაღება სახლში გამოყენების, გარეცხვის ან უტილიზაციის მიზნით
- რესპირატორის გამოყენების შემთხვევაში წინასწარ უნდა ჩატარდეს რესპირატორის მორგების ტესტი (ინდივიდუალურად) თანამშრომლებისათვის

5. თვალების და სახის დაცვა

თვალების დაცვა საჭიროა ყოველთვის, როცა არსებობს გაშხეფების რისკი. თუ გაშხეფება მოსალოდნელია თვალების დაცვას უნდა დაემატოს სახის ფარი, რათა დაიცვას სახის მიდამო და რესპირაციული დაცვის საშუალებებთან ერთად ცხვირი და პირი.

უსაფრთხოების სათვალე, რომლებიც აღჭურვილია გვერდითი მყარი ფარებით, წარმოადგენს თვალების მინიმალურ დამცავს, რომელიც საჭიროა დაბინძურებულ ზონაში შესასვლელად. ვიზიტორები უზრუნველყოფილები უნდა იყვნენ საფრთხის შესაბამისი თვალების დამცავი საშუალებებით..

თვალების დამცავი საშუალების შენახვა უნდა მოხდეს სუფთა არეში, ზონის შიგნით, გამოყენების არესთან ახლოს. გამოყენების შემდეგ, სამუშაო ზონაში მათ შენახვამდე, უნდა მოხდეს თვალის დამცავი საშუალების დეკონტამინაცია ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

შენიშვნა: კონტაქტურ ლინზებთან შეხება არ შეიძლება დაბინძურების ზონაში და ისეთ არეებში, სადაც ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ხდება.

6. ხელების დაცვა

ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ საფრთხესთან მუშაობისას საჭიროა შესაფერისი ხელთათმანების ტარება.

- ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობისას ისარგებლეთ ხელთათმანებით, რომელიც ნებადართულია ამ მიზნისთვის (შეგიძლიათ ისარგებლოთ ხელთათმანების შესარჩევი ცხრილით, რომელიც აქვს ზოგადი უსაფრთხოების ოფიცერს).
- გამოყენებამდე ხელთათმანები უნდა შემოწმდეს მთლიანობაზე .
- ხელთათმანების ჩაცმა უნდა მოხდეს ნებისმიერი აქტივობის დაწყებამდე სამუშაო ზონაში
- ხელთათმანი უნდა ფარავდეს ქვედა სახელოს და დამცავი ტანსაცმლის მანქეტს
- ვიზიტორები უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ ხელების დამცავი იდს-ით, რომელიც შეესაბამება იმ საფრთხეს, რომელიც აღინიშნება სივრცეში, რომელსაც სტუმრობენ

- ახალი ხელთათმანები უნდა ინახებოდეს სუფთა ზონაში
- ტემპერატურისადმი რეზისტენტული ხელთათმანები უნდა ინახებოდეს იქ, სადაც მათი გამოყენებაა საჭირო.
- უშუალოდ ხელთათმანის ჩაცმამდე და ხელთათმანის გახდის შემდეგ აუცილებელია ხელის ჰიგიენის ჩატარება

ხელთათმანების ცვლა:

- როცა ხელთათმანი ვიზუალურად დაზიანებული ან დაზიანებულია, უნდა მოხდეს მისი გახდა და გადაგდება შესაბამის კონტეინერში
- ხელთათმანების გახდა უნდა მოხდეს ისე რომ ხელი არ შეეხოს ხელთათმანის დაზიანებულ ზედაპირს
- დაზიანებული ერთჯერადი ხელთათმანების უტილიზაცია უნდა მოხდეს სახიფათო ნარჩენების კონტეინერში.
- დაზიანებული მრავალჯერადი ხელთათმანების ხელახლა გამოყენებამდე უნდა მოხდეს მათი დეკონტამინაცია.
- დაუშვებელია ერთჯერადი ხელთათმანების მრავალჯერადად გამოყენება.

7. რესპირაციული დაცვა

პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს რესპირაციული დაცვის ისეთი საშუალებებით, რომელებიც შეესაბამება იმ ზონაში არსებულ საფრთხე(ებ)ს, რესპირაციული სისტემის დასაცავად გამოიყენება სამედიცინო ნიღაბი ან რესპირატორი (მინიმუმ N95 ტიპის). სამედიცინო ნიღაბი გამოიყენება მსხვილი წვეთებისაგან დასაცავად, ასეთი წვეთების წარმოქმნას ადგილი აქვს ადამიანის საუბრის, დახველების ან დაცემინების დროს. ხოლო რესპირატორი გამოიყენება აეროზოლებისაგან დასაცავად. აეროზოლების წარმოქმნას ძირითადად ადგილი აქვს სხვადასხვა აეროზოლწარმომქმნელი პროცედურების ჩატარების დროს (ტრაქეალური ინტუბაცია, არაინვაზიური ვენტილაცია, ტრაქეოტომია, გულ-ფილტვის რეანიმაცია, ხელით ვენტილაცია ინტუბაციამდე, ბრონქოსკოპია, ნაზოფარინგეალური ნიმუშის აღება და სხვადასხვა ლაბორატორიული პროცედურები).

8. ტერფის დაცვა

- ვიზიტორებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ფეხსაცმლით (ბაზილებით) იმ საფრთხე(ებ)ის შესაბამისად, რომელიც არსებობს სივრცეში, რომელსაც ისინი სტუმრობენ
- ღია ფეხსაცმელები, სანდლები და საზაფხულო ქოშები დაუშვებელია სამუშაო ზონაში

- ქსოვილისგან დამზადებული ფეხსაცმელები არ უნდა იქნას გამოყენებული საშიშ ქიმიურ მასალასთან მუშაობისას

9. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ჩაცმის და გახდის პროცედურების თანმიმდევრობა

ჩაცმის თანმიმდევრობა:

- დაიბანეთ და/ან დაიმუშავეთ ხელები
- მოახდინეთ რისკის შეფასება და შესაბამისად განსაზღვრეთ საჭირო იდს
- განსაზღვრეთ სუფთა / უსაფრთხო არეები. სადაც ჩაიცვამთ და გაიხდით იდს-ს
- სასურველია, ჩაცმა-გახდა განხორციელდეს კოლეგის ზედამხედველობის ქვეშ
- წინასწარ განსაზღვრეთ როგორ მოეპყრობით ნარჩენებს (ნარჩენების მართვა)
- ჩაიცვით სითხეებისადმი მედეგი უკან შესაკრავი ხალათი.
- დადექით ჩასაცმელად განკუთვნილ ადგილზე, სრულიად დაიფარეთ სხეული კისრიდან მუხლებამდე და მხრებიდან მაჯებამდე, შეიკარით ხალათის თასმები.
- გაიკეთეთ სასუნთქი გზების დამცავი ნიღაბი ან რესპირატორი, რისკების შეფასების შესაბამისად
- აეროზოლების წარმომქმნელი პროცედურების ჩატარების შემთხვევაში (ტრაქეალური ინტუბაცია, არაინვაზიური ვენტილაცია, ტრაქეოტომია, გულ-ფილტვის რეანიმაცია, ხელით ვენტილაცია ინტუბაციამდე, ბრონქოსკოპია და ნაზოფარინგეალური ნიმუშის აღება ა.შ.) გამოიყენეთ რესპირატორი (მინიმუმ N 95 ტიპის). რესპირატორი მჭიდროდ მოირგეთ სახესა და ნიკაპის ქვეშ. ელასტიკური სამაგრი მოირგეთ ცხვირზე, ელასტიკური თასმები თავზე - ერთი ყურის ზემოთ კეფაზე, მეორე - ყურის ქვემოთ კეფაზე.
- ნიღაბის გამოყენება ნებადართულია არაჩამრევი პროცედურების შემთხვევაში. ნიღაბი მჭიდროდ მოირგეთ სახეზე. ელასტიკური სამაგრი მოირგეთ ცხვირზე, ელასტიკური თასმები თავზე - ერთი ყურის ზემოთ კეფაზე, მეორე - ყურის ქვემოთ კეფაზე, ან ყურებზე ნიღაბის ტიპის შესაბამისად.
- გაიკეთეთ სახის დამცავი ფარი ან სათვალე, რისკების შესაბამისად
- თვალის დამცავი უსაფრთხოების სათვალე ან სახის ფარი გაიკეთეთ სახესა და თვალბუდეზე და დაარეგულირეთ.
- დაიმუშავეთ ხელები
- ხელთათმანები ჩაიცვით და წამოაცვით ხალათის სამაჯურს.

გახდის თანმიმდევრობა:

- უზრუნველყავით თქვენი, გარშემომყოფებისა და გარემოს კონტამინირების შესაძლებლობის შემცირება

- მოიშორეთ იდს-იდან ყველაზე მეტად დაბინძურებული კომპონენტი - ხალათი და ხელთათმანები
- ხალათის გახდისას მინიმალურად შეეხეთ სამაჯეებს და ხალათის წინა ზედაპირს; ხალათი გაიხადეთ „ამობრუნების“ პრინციპით - შიგნითა სუფთა ზედაპირი მოაქციეთ გარეთ, ისე, რომ, ხალათის გახდასთან ერთად ხელთათმანებიც „ამობრუნების“ პრინციპით გაიხადოთ. შეეხეთ მხოლოდ შიგნითა სუფთა ზედაპირს. შიგნითა სუფთა ზედაპირი მოაქციეთ გარეთ. ხალათი და ხელთათმანები მოათავსეთ ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერში.
- ხელები დაიბანეთ საპნითა და გამდინარე წყლით ან/და დაიმუშავეთ დეზინფექტანტით.
- სათვალე ან სახის ფარი მოიხსენით ისე, რომ არ შეეხოთ წინა ზედაპირს. ერთჯერადი მოხმარების სათვალე და სახის ფარი უნდა მოთავსდეს ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერში. მრავალჯერადი გამოყენების სათვალე და სახის ფარი დაამუშავეთ მწარმოებელი ფირმის მიერ რეკომენდებული დეზინფექტანტით და მოათავსეთ ჰერმეტიულად დახურულ კონტეინერში. მოახდინეთ კონტეინერის მარკირება დეზინფექციის ზუსტი დროის მითითებით.
- ნიღაბი / რესპირატორი - არ შეეხოთ ნიღბის ან რესპირატორის წინა ზედაპირებს, (სავარაუდოდ ისინი დაბინძურებულია) ჯერ მოიძვრეთ ქვემო თასმა, შემდეგ კი ზემო თასმა. მოათავსეთ ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერში.
- ხელები დაიბანეთ საპნითა და გამდინარე წყლით ან/და დაიმუშავეთ დეზინფექტანტით.



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030662850229720

07 / თებერვალი / 2020 წ.

თბილისი #06-27/თ

**ახალ კორონავირუსთან (n-CoV) დაკავშირებით გასატარებელი დროებითი
რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს, ახალ კორონავირუსთან (n-CoV) დაკავშირებით გასატარებელი დროებითი რეკომენდაციები თანდართული დანართების შესაბამისად:
 - ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენების მითითებები წვეთოვანი და კონტაქტური გზით (მ.შ. ახალი კორონავირუსი - n-CoV) გადაცემადი ინფექციების დროს (**დანართი #1**);
 - ბ) ინფექციების პრევენცია და კონტროლი ახალი კორონავირუსის (nCoV) შესაძლო შემთხვევის მართვისას (**დანართი #2**);
 - გ) ახალი კორონავირუსული (nCoV) ინფექციის შემთხვევის განსაზღვრება (**დანართი #3**);
 - დ) ახალ კორონავირუსის (n-CoV) შემთხვევების და კონტაქტების მართვის ალგორითმი (**დანართი #4**).
2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე